ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია.

ფასი 2 მანეთი

შაბათი, 6 დეკემბერი 1919 წ. № 219.

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია (ღია 9—2 და 5—7).
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე.
დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა (ღია 9—2 და 5—7).
გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 180 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ.
სამგლოვიარო განცხადება: საშუალო ზომისა თითოჯერ 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კვირას 7 დეკემბერს დილის 10 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

პაპა კონსტანტინე ჩიქოვანის ასული ადანაიას

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის შვილები: ნადია, შურა, ნინა, თამარა, მარუსა ვერა და კონსტანტინე (კოწო) ადანაიები, სიძეები; გიორგი ჩხეიძე და ივანე კაპანაძე. (1—1).

კვირას 7 დეკემბერს, საფირჩხიის ეკლესიაში, გადახდილი იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი

თამარა გერმანეს ასულის იორაიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, გერმანე ივანეს ძე დევიძე ოჯახობით.

(1—1).

საჯარო ვაჭრობა.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქუთაისის რკინის გზის სადგურიდან გადმოსაზიდავია ხონი-ქუთაისის რკინის გზის სხვა და სხვა საჭირო მასალა—რელსები, რომელიც გადმოზიდულ უნდა იქნეს ქუთაისის სადგურიდან თეთრ ხიდესთან და თეთრი ხიდიდან ქუთაისი-ხონის სადგურზე (ოლასკურაზე); ამისათვის დანიშნულია **საჯარო გაჭრობა** ქუთაისის სამაზრო ერობის კანცელარიაში პარასკევს, ამა დეკემბრის 5, შუადღის პირველ საათზე.

პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე 9—3 საათამდე გამგეობის წევრ მ. გავაშელთან.

განცხადება იჯარის ალების შესახებ უნდა იქნას შემოტანილი პარასკევს 5 ამა დეკემბერს შუადღის პირველ საათამდე სამაზრო ერობის კანცელარიაში საკანტროლო კომისიის მდივან მ. ბოკერიასთან.

(3—3). **ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა.**

ქ. ქუთაისში

საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის მიერ, პირველ დეკემბრიდან გაიხსნა საბუხგალტერო ერთ წლიანი

საღამოს კურსები.

კურსების სამოსწავლო ნაწილის გამგედ მოწვეულია ქუთაისის აზოვ-დონის ბანკის მმართველი ბ. ი. ი. პურადაშვილი, ლექტორებათ მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლით აღჭურვილნი სპეციალისტები, მსმენელებათ ჩაწერა და კურსების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აზოვ-დონის ბანკში, კურსების კანცელარიაში. 3—2

განცხადება.

საჭიროა მოანგარიშე. ტყავის მრეწველთა ამხანაგობა „ქუთაისი“ საჭიროებს ქართულად მცოდნე მოანგარიშეს (ბუხგალტერს). მსურველთ მოსალაპარაკებლად შეუძლიათ მობრძანდენ ქუთაისში გაზეთების გამყიდველ მაღაზიის გვერდით—ამხანაგობის მაღაზიაში. ამასთანავე ეს ამხანაგობა აცხადებს; თანახმად მათი ამხანაგის კაშიაინის განცხადებისა და ამხანაგებთა უმეტესობის სურვილისა ბ. პოლოს სოლომონის ძე კაშიაინი, გასულია ამ ტყავის მრეწველთა ამხანაგობისაგან, მათის წესდებისა—დადგენილების ძალით ამა წლის 29 ნოემბრიდან;

(2—2). **ამხანაგობის თავმჯდომარე ვლადიმერ წერეთელი.**

მონოპოლიისათვის.

დამფუძნებელმა კრებამ დააკანონა მონოპოლია მატყლსა და აბრეშუმის პარკზე იმავე წესით, რა წესითაც „შავ ქვასა“ და „თუთუნზე“. ხსენებულ საქონელს გაყიდის მთავრობა უცხოეთში და მის ნაცვლად პირველი საჭიროების საგნებს შემოიტანს.

მესაკუთრეებს მიეცემათ ღირებულების სანაცვლო, რომელსაც მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მწარმოებლების წარმომადგენლები დააწესებენ.

დამზადებულ საქონელს მთავრობა ან თვითონ გაიტანს ან საზოგადო ორგანიზაციებსა და კერძო დაწესებულებათ გაატანიებს.

მთავრობას ნება აქვს ჩამოართვას საქონელი შემსყიდველებს საბაზრო ფასებში.

მონოპოლია ვრცელდება აგრეთვე აბრეშუმის ძაფზე.

ამ კანონსაც, როგორც ყოველსავე სხვა კანონს, უნდა დავემორჩილოთ.

ცხადია: რაც უნდა უვარგისი იყოს კანონი, ანარქიას, ე. ი. უკანონობას, მაინც, სჯობს.

და ის სახელმწიფო რომელშიაც კანონს არავინ პატივს არა სცემს დიდ ხანს ვერ შეინახავს თავს.

მეორე მხრით მოქალაქეს აქვს კონსტიტუციით მინიჭებული და რევოლიუციით მოპოებული უფლება გააკრიტიკოს კანონი, აღნიშნოს მისი ავი და კარგი მხარე და მოითხოვოს მისი შესწორება ან შეცვლა.

თვინიერ ამ საჯარო უფლებისა იქნებოდა დესპოტია და არა თავისუფლება.

სიტყვის თავისუფლება სწორეთ ამ უფლებას გულისხმობს.

ამიტომ ნებას ვაძლევ თავს კრიტიკულად შევეხო ხსენებულ კანონს.

ბიუროკრატიას კი, სულ ერთია, სოციალისტურია თუ არა სოციალისტური, განსაკუთრებული ზნე სჭირს: მის ხელში ცოცხალი საქმე კვდება.

აი მაგალითი: ქუთაისი ტყეებით გარშემორტყმულია, მაგრამ უშეშობით დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი.

სასურსათო და სარკინისგზო ბიუროკრატიამ იმდენად შეგვიშალეს ხელი, რომ აჯამეთიდანა და ნოტანებიდან ვერ მოგვიხერხებია შეშის მოტანა!

კიდევ უკეთესი მაგალითი—„სიბუნიონთან“ ხელშეკრულობის დადება, მომარაგების კომიტეტმა ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით რუსის ებრაელებს, ვითომც, როგორც ინგლისის ფირმის წარმომადგენლებს, საქართველოს მთელი სახაზინო ქონება მიყიდა ნისიად და უგარანტიოდ!

მადლობა ღმერთს, ხელშეკრულობა ზოგიერთი მიზეზისა გამო ჩაიშალა.

მაგრამ ვინ გვაძლევს პირობას, რომ რესპუბლიკის მთელ სიმდიდრეს იმავე „სიბუნიონს“ არ მიყიდიან, თუ კი ეს კამპანია რომელსამე ინგლისურ ფირმას ზურგს უკან ამოეფარება?!

წარმოვიდგინოთ, მეორე მხრით, რომ თვით სამინისტრომ, ერობათა კავშირმა, კოოპერატივებმა და სხ. მოაწყვეს გარეთ-გატანი დაწესებულება.

ეს დაწესებულება—უშველებელი ბიუროკრატიული ორგანიზაცია იქნება, რომლის შენახვასაც მთელი გატანილი სიმდიდრე დასჭირდება.

იმავე დროს ამ ბიუროკრატიის ხელში ცოცხალი საქმე უეჭველად მოკვდება.

და ჩვენ ვფიქრობთ: საუკეთესო გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან ის იქნება, თუ მთავრობა ამგვარი ბიუროკრატიული დაწესებულების დაარსებაზე ხელს აიღებს და საქმეს—მწარმოებელთა და ვაჭართა ამხანაგობათ ჩააბარებს.

აბრეშუმის პარკისა და მატყლის მწარმოებელთა და გამყიდველთ უნდა შეადგინონ თავისი ამხანაგობანი, რომელთაც უნდა გაიტანონ პარკი და მატყლი საზღვარგარეთ და შემოიტანონ სამაგიერო საქონელი მთავრობასთან შეთანხმებით იმ პირობით, რომ წმინდა მოგების ნაწილი მთავრობას დარჩეს.

თანხა, სავაჭრო ორგანიზაცია და შრომა უმთავრესად ამხანაგობებთ უნდა იშოვონ და მოაწყონ.

მთავრობა კი უმთავრესად კანტროლის როლს უნდა სჯერდებოდეს.

მხოლოდ ამ პირობით შეიძლება და საქმის კეთილად მოწყობა.

ვასილ წერეთელი.

დღიური.

რუმინეთის პარლამენტმა მადლობა განუცხადა შეერთებულ შტატების პარლამენტს რუმინიის ხალხის დახმარებისა და თანაგრძნობისათვის.

გრაფ სფორცმა ბრაზილიის დესპანს გადასცა ორდენი იტალეთის მეფისგან.

ტოკიოში მიკადოს დაბადების დღეს, საგარეო საქმეთა სამინისტროში ყუმბარა გადააგდეს.

პრესა.

მოხალისეთა სარდლობისა და ყოფილ ყუბანის რადის შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ გაზეთი „ვოზროჟდენიე“ შემდეგს სწერს.

„ამა წლის 19 ნოემბრიდან 171 №-ით, ყუბანის რადის განადგურებას დენიკინის ბრძანება მოყვა, რომელიც აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვრების ბლოკადას მკაცრათ ადასტურებს.

ენერალი განრისხებულია იმით, რომ მიუხედავათ განმეორებითი ბრძანებებისა საქართველოში და აზერბეიჯანში მაინც გადის სხვა და სხვა საქონელი

ამასთანავე ბრძანებაში შემდეგი დამახასიათებელი წინადადებაა „მე არ შემიძლია დაუშვა საქონლის გატანა ისეთ სახელმწიფოებში, რომლებიც თავისი უფლებით, დაუკითხავად აღმოცენებულან რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესთა საზიანოთო“.

საინტერესოა აღვნიშნოთ ფრჩხილებში, რომ ამიერ-კავკასიის ბლოკადის საკითხში გენ. დენიკინი მხოლოდ აზერბეიჯანსა და საქართველოს იხსენიებს და სომხეთის შესახებ კი სდუმს.

ერთი სიტყვით, სამხრეთ-რუსეთს შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალს დიპლომატიურ ენაში. საქართველოსა და აზერბეიჯანისათვის „თავხედური რესპუბლიკის“ მეტი ტერმინი ვერ მოუძებნია.

ასეთი უბრალო ტერმინით განუსაზღვავს რუსის ენერლის ყაზარმულ დიპლომატიას ის თავგანწირული შრომა ყოფილ რუსეთის, ეხლა გამოყოფილ ერებისა და ეგრეთ წოდებული გათვითცნობიერება და შემოქმედება, რომელნიც ცხოვრებაში არაჩვეულებრივ ომმა და რევოლუციამ გადმოისროლა და რომელთაც გულდასმით ყურს უგდებენ ევროპისა და ამერიკის პოლიტიკოსები

ენერალმა ერთი სიტყვით გადასჭრა ის დიდი საკითხი, რომელმაც ის საზავო კონფერენცია ჩაიფიქრა, სადაც მონაწილეობას ისეთი პიროვნებები იღებენ, როგორც ვილსონი, ლოიდ-ჯორჯი და კლემანსო და რომელიც გერმანიის ბრუყინვალე მინისტრებმა ვილგელმის ხელმძღვანელობითაც ვერ გადასჭრეს.

დენიკინს კი, როზგებით განუზრახავს დამოუკიდებლობის საკითხი გადასჭრას.

ერთი სიტყვით ყველაფერი გამორკვეულია, დენიკინის პოლიტიკა ნათელია და სანამ გვიან არ არი მოკავშირენი მოვალენი არიან რუსეთის ყოფილ ერთა წინაშე გადაათვალიერონ თავიანთი პროგრამმა, ეგრედ წოდებულ რუსეთის საკითხისა და რადიკალურად გამოსცვალონ იგი“.

სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა და „ყოფილ“ პარტია!

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობის პოლიტიკა ვიწრო პარტიული ხასიათისაა და ყოველ მის ნაბიჯში იგი ხელმძღვანელობს თავისი ჯგუფური ინტერესებით.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენს დღევანდელ მართველებს არ შესწევთ სახელმწიფოებრივი უნარი, გასცილდენ მბრძანებელ პარტიულ რკალს და თავის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში ეროვნულ პოლიტიკის მიუდგომლობამდე ამაღლდენ;

ჩვენი შენიშვნები, ყოველთვის ცხარე კამათს იწვევდენ და სოციალ-დემოკრატიული პარტიის „ერთობა“ მუდამ იმის რწმუნებაში იყო, რომ მათ ეროვნულ ინტერესების საკურთხველზედ მიაქვთ თავისი პარტიის ინტერესები და ხშირად მსხვერპლადაც მიაქვთ იგი სახელმწიფო საქმისათვისო.

ჩვენ ყოველთვის კარგათ ვიცოდით, რომ თუ ისინი სახელმწიფოსთვის რამეს აკეთებდენ, არა იმისთვის, რომ საქართველოს ინტერესები ამოქმედებდენ მათ, არამედ ყოველი მათი ნაბიჯი გამომდინარეობს ხოლოდ მათი პარტიული კეთილ-დღეობის ინტერესებიდან;

მაგრამ რა საჭიროა ჩვენი მტკიცება! სჯობს ამ საკითხში თვით „ერთობა“ ვალაპარაკოთ:

„სახელმწიფოს ცუდათ წარმართვა დაამარცხებს და დამარხავს პარტიასაც; **ამიტომ** ის არ ზოგავს ძალასა და მსხვერპლს ამ საქმის მოსაგვარებლათ. თუ სოციალ-დემოკრატიამ კარგათ მართა სახელმწიფო, ის ძლიერი პარტია იქნება“.

— აი რას ამბობს „ერთობის“ გუშინდელი მეთაური. ეს ამონაწერი კომენტარიებს არ საჭიროებს!

„ერთობა“ ჰგოდებს, რომ „პარტიული მუშაობა მოდუნებულია“.

ის ფაქტი, რომ ხალხი თანდათან სცილდება მენშევიკების პარტიის გალენას და სოფელი თუმც ნელა, მაგრამ მაინც ირკვევა და უკვე თვალებს იფშვნეტს იმ ჰიპნოზისაგან, რომელშიაც ჩააგდეს **იგი** მენშევიკების აგიტატორებმა, „ერთობას“ სურს ახსნას იმ მოკნელათ, რომ.

„**ამხანაგები** სახელმწიფო და საზოგადო სამსახურში ჩაებენ და წმინდა პარტიულ მუშაობისათვის ან დრო აღარ აქვთ, ან და სრულიად ივიწყებენ მას“.

ამისთვის „ერთობა“ ბრძანებას სცემს და შემდეგ დირექტივებს უგზავნის თავის „ამხანაგ მართველებს“:

„რა საპასუხისმგებლო საქმე ჰქონდეს დაკისრული ჩვენს ამხანაგს, მას უნდა ახსოვდეს, რომ ის სოციალ-დემოკრატია, პარტიის ორგანიზაციის წევრია, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ არის თავისუფალი, წმინდა პარტიულ მოვალეობისაგან“.

ასე მართავენ მენშევიკები საქართველოს და სახელმწიფოს თავის პარტიულ დაწესებულებათ აცხადებენ.

თავის დროზედ, სწორედ ამ მიზნით, მათ მთელი თავისი ამქარი სამართველო სავარძლებში დაასკუპეს და ქვეყნის საჭვნიც მათ მისცეს ხელში.

თვით „ერთობა“ აღიარებს, რომ სახელმწიფო აპარატის უდიდესი ნაწილი დღეს „**ამხანაგების**“ ხელშია!

როგორ მართავენ ეს „ამხანაგები“ ჩვენს სახელმწიფოს, ეს ყოველმა მოქალაქემ თავის თვალით იხილა და მათი მეოხებით სახელმწიფო დღეს კატასტროფის წინ დადგა.

მაგრამ ეხლა ირკვევა, რომ არც მათი პარტია ყოფილა მაინც და მაინც მოწყობილი:

„ჩინებული მოხელე სოციალ დემოკრატი, თუ ის ჩამოშორდა პარტიულ ორგანიზაციასა და საქმიანობას, არის ყოფილი სოციალ-დემოკრატი“.

და ალბათ ამისთვის სწუხს „ერთობა“, რომ „თუ ასეთმა მოვლენამ მასიური ხასიათი მიიღო, მაშინ ჩვენ გვეყოლება ყოფილ სოციალ დემოკრატთა ბიუროკრატია და არა პარტია“.

ეს „თუ“ უკვე დიდიხანია რაც წაიშალა!

დღევანდელმა სოციალ-დემოკრატიულმა ბიუროკრატიამ არამც თუ გადაიღო ყველა ჩვეულებანი ცარიზმის დროის ბიუროკრატიის, არამედ გადააჭარბა მას კიდეც!

მენშევიკური პარტია დღეს უკვე „ყოფილი“ პარტიაა ამას თვით „ერთობა“ აღიარებს თითქმის!

მაგრამ ჩვენ ვშიშობთ, რომ ამ „ყოფილი პარტიის“ ხალხმა სახელმწიფოც არ გადააქციონ „ყოფილათ“

— იმ ხალხისაგან, რომელსაც ისეთი აზრები ამოქმედებთ, რომელიც „ერთობის“ გუშინდელ მეთაურშია მოთხრობილი, არაფერი გასაკვირი არ არის!

(„ივერია“).

უცხოეთი

რუსეთი.

ეკატერინოდარის ევაკუაცია.

„ტრუდოვოე ზნამია“ იტყობინება:

„საერთო, ცუდი სულიერ განწყობილების და მოსალოდნელი საფრთხის ზეგავლენით ეკატერინოდარში შეხიზნულ გადმოხვეწილთა დიდი უმრავლესობა, საჩქაროდ ჰკრავს თავის ბარგს და მირბის ეკატერინოდარიდან.

ზოგიერთნი უკვე აემართენ შავი ზღვის გუბერნიისაკენ (?).

დონის ფულის კურსი ეცემა.

იმავე გაზეთის ცნობით, ყუბანის რადიო დარბევისა და დენიკინის ბანერგში მიმხდარ სტრეფლინგებისა გამო, დონის ფულის კურსი სწრაფათ ეცემა.

გაზეთის ცნობით, დონის ფული უკვე 60 პროც. ნაკლები ფასობს ვიდრე ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბონები.

უკრაინა.

კაბინეთის შემადგენლობა.

უკრაინის მთავრობის კაბინეთის შეცვლის შესახებ გავრცელებული ხმები მართალი არ გამოდგა და მთავრობა ისევ ძველინდელი შემადგენლობისაა: პრემიერი და საშინაო საქმეთა მინისტრი—მაზეპა, შრომის მინისტრი—ბეზპალკო, გზათა მინისტრი—იტ-მოშენკო, სამხედრო მინისტრი—პეტროვი, იუსტიციის—ლევიცკი, მიწად-მოქმედების—კოვალევსკი, სახალხო მეურნეობის—შიდლიუნი, ჯანმრთელობისა და მზრუნველობის—ოდრინა, ფინანსების—შარტოს, პრესისა და პროპაგანდის—ჩერკასკი, ებრაელთა საქმის—კრასნი, ფოსტა-ტელეგრაფის—პალივოდია, სარწმუნოების—პროფ. ოგიენკო და განათლების გრიგორიევი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ვლ. სტაროსელსკი.

იტალია.

ტიტანის გადადგომა.

კლემანსომ, ლოიდ-ჯორჯმა და პიშონმა დეპეშა გააგზავნეს რომში, სადაც სინანულს გამოსთქვამენ ტიტანის გადადგომის გამო.

ავსტრია.

ავსტრიის კონსტიტუცია.

ავსტრიის მთავრობამ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც სანჟერმანის ხელშეკრულების თანახმად ყოფილ გერმანულ ადგილებს ავსტრიის რესპუბლიკის საზღვრებში აქცევს.

რესპუბლიკაში ყოველგვარი თანაბარუფლება ეკუთვნის ხალხს.

სახელმწიფო ენა გერმანულია. ეროვნულ უმცირესობათა ენას ფართე თავისუფლება ენიჭება.

ამ კონსტიტუციის ძალით შესცვლილია 1919 წ. გიორგობისთვის ის კანონი, რომლის მიხედვითაც ავსტრია გერმანიის ნაწილად ირიცხებოდა.

სურსათი ევროპაში.

„ტაიმსის“ კორესპოდენტმა რომში ელაპარაკა ბრიტანეთის სურსათის კონტროლიორ რობერტს სურსათის მდგომარეობის შესახებ ევროპაში. რობერტმა განუცხადა კორესპოდენტს, რომ ბრიტანეთი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ სურსათის საკითხი მოკავშირეთა შორის მოაწესრიგოს. ინგლისი საერთოდ პირველია ამ შემთხვევაში ის დიდ დახმარებას უწევს ვენის მცხოვრებლებთ, ავსტრო ჰუნგრეთს ყოველთვის შეძლებისდაგვარ ეხმარება ბრიტანეთი. სხვა ქვეყნები, მაგალითად როგორც იტალია, შეუძლიანთ დახმარება გაუწიონ იმ ქვეყნებს, რომელნიც კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან სურსათის შემოკლებით, მაგრამ ეს მათ კაცთ

მოყვარეობაზე და სინდისზეა დამოკიდებული.

ოსმალეთი

შავი ჭირი სტამბოლში.

სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი სტამბოლში ბ-ნი ტახტრიანცი სომხეთის გარეშე საქმეთა მინისტრსატყობინებს, რომ სტამბოლში რამდენიმე შემთხვევა იყო შავი ჭირისაგან რამდენიმე ადამიანის გარდაცვალება.

ამის გამო სომხეთის მთავრობა თავის მოვალეობად რაცხს, რომ გამოცხადოს საქართველოს და აზერბაიჯანის მთავრობებს, რომ მათ ყოველგვარი ზომები მიიღონ შავი ჭირის ასაცდენად, რომ სტამბოლიდან არ იყოს შემოტანილი ეს ხალხის გამანადგურებელი სენი.

ინგლისი.

სახელმწიფოს ვალი. როგორც იუწყება ინგლისური გაზეთი „ტაიმს" ინგლისის თემთა პალატის მუშაობის ცენტრალური კითხვა ფინანსიური კითხვის მოგვარებაა. პირველ რიგში დგას შემოდგომის ბიუჯეტის შედგენა და სამხედრო მოგებაზე გადასახადის შემოღება. თუ რამდენად სვერიოზულია ინგლისში ფინანსიური მდგომარეობა ამას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: გასავალი (11 ოქტ.) უდრიდა 794,682,669 გირ. სტერ. შემოსავალი—482,681,978 დეფიციტი—312,200, 691 გირ. სტერ სახელმწიფოთა ვალი—(დაახლოვებით) 8,000,000,000 გირ. სტ.

ხელის მომწერლების საყურადღებოდ,

ვინაიდან გაზეთის გამოცემა დიდ ხარჯებს მოითხოვს, და ხელის მომწერლების ნაწილს კი ანგარიშები არ გაუსწორებია, რედაქცია სთხოვს ასეთებს კვირამდი შემოიტანონ მათზე დარჩენილი ფული. წინაამდეგ შემთხვევაში რედაქცია გაზეთის გაგზავნას კვირიდან შესწყვეტს.

ახალი ამბავი.

დეპეშები საზღვარ-გარეთ. საქართველოს და ბრიტანეთის შორის დადებულ ხელშეკრულობის თანახმად, 2 ამ დეკემბრიდან დაწყებდა ტელეგრაფით ურთიერთობა საქართველოსა, სამხრეთ-რუსეთსა, დასავლეთ ევროპისა, ამერიკისა და აზიის ზოგიერთ ქვეყნების შორის, შემდეგის სატრანზიტო გადახდევინებით, გარდა იმისა, რაც არსებობს ბათომის ოლქში გაგზავნილ დეპეშებზე, უბრალო დეპეშებზე სამხრეთ-რუსეთში 4 მანეთი, ინგლისში 25 მან; საფრანგეთში 21 მან; იტალიაში 15 მან; რუმინიაში 15 მან; ამერიკის შეერთებულ შტატებში 116 მან; ნიუ-იორკში 83 მან; სამხრეთ ამერიკაში 84 მან; მოლონიაში 104 მან; ჰოლანდიაში 29 მან; ვლადივოსტოკში 152 მან; შვეციაში 62 მან; შვეიცარიაში 16 მან; ოსმალეთში 9 მან; საბერძნეთში 15 მან; გიბრალტარში 15 მან; მოლტიში 25 მან. ეგვიპტეში 53 მან; ჩინეთში 129 მან; ინდოეთში 65 მანეთი; იაპონიაში 143 მან; ავსტრალიაში 111 მან; კანადაში 131 მან, თითო სიტყვაში: სასწრაფო დეპეშებში სამჯერ მეტი.

გამარჯვება. 1 დეკემბერს სოფ. ქუჯუბურში გამარჯვებს ევგენი ნიკური, წაიღეს 30 ათასი მ.

აფთიაქებში მუშაობა. ქალ. გამგეობამ დაადგინა, ქუთაისის ყველა აფთიაქები ღია იქნენ კვირა-უქმე დღეებშიც. ამ დღეებში მუშაობას აწარმოებს აფთიაქის ნახევარი შტატი, ორმაგი ჯამაგირით. შტატის ნახევარი კვირაობით თავისუფალი უნდა იქნეს.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის აფთიაქებში სპეციალისტ მოსამსახურეთა თავისუფალ ადგილზე, აფთიაქის გამგენი პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით უდგენენ ქალაქის გამგეობას დასამტკიცებლად ერთს ან ორ კანდიდატს.

აფთიაქის მოსამსახურეებისათვის ჩაის შესახებ დარჩეს არსებული წესი, სანამ დაიდებოდეს ქალაქის გამგეობასა და მოსამსახურეთა შორის ახალი კოლექტიური ხელშეკრულობა.

სამოქალაქო პანაშვიდი. კვირას, შუადღის 12 საათზე, ქალაქის თეატრში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ცნობილი მუსიკოსის ნ. სულხანიშვილის პატივსაცემლად.

ქუთაისის ხაზინის გადატანის საკითხი ქუთაისის ხაზინის მოსამსახურეთა საერთო კრებამ 21 ნოემბერს დაადგინა: ვინაიდგან ხაზინის შენობა ძლიერ ცუდია სივიწროისა და ნესტიანობის გამო და მეტის მეტად ცუდათ მოქმედებს მოსამსახურეთა ჯანმრთელობაზედ, ამიტომ ეთხოვოს შრომის კომისარს და ხაზინის ადმინისტრაციას, რომ ერთი თვის განმავლობაში იქნას ხაზინა გადატანილი შესაფერ შენობაში, და მით იხსნან მასში მოსამსახურენი ფიზიკურ განადგურებისაგან. ამის შესახებ ხაზინის პროფესიონალური კავშირის საბჭომ უკვე სთხოვა შრომის კომისარს და ხაზინის ადმინისტრაციას, რომ ამ თვის დამლევამდე მოძებნონ ხაზინისთვის შესაფერი ბინა.

პეტრე ჭარაიას გარდაცვალება. ოჩემჩირეში გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე პეტრე ჭარაია.

დაკარგული ნივთი. 1 ქალთა გიმნაზიის მოწაფეს გრ. ურუშაძეს, პუშკინის ქუჩაზე უბის წიგნი სხვა და სხვა საბუთებით და ცოტაოდენი ფულით. წიგნს აწერია ნადეჟდა ხინისა. დამკარგველს შეუძლია მიიღოს აღნიშნული საბუთები—ამავე მოწაფესთან.

ბოიკოტი. ქუთაისის სამხრო ერობის მოსამსახურეთა კავშირის 3 დეკემბრის სხდომის, დადგენილებით, ბოიკოტი გამოეცხადა გოგელიას.

ახალი მუსიკალური შკოლა. (პირველ დაწყებითი) ქ-ნ. ელენე ივანეს ასულს ბაინდუროვა-კონიევისას მიუღია ნებართვა საქართველოს-განათლების სამინისტროსაგან, გახსნას პირველ დაწყებითი მუსიკალური შკოლა. საერთოდ უნდა ითქვას რომ კონიევის ასულს იცნობენ როგორც ნიჭიერს და სინდისიერ მასწავლებელს, რომელიც 12 წელიწადია რაც ქუთაისის ნორჩ ახალგაზდობას, უნერგავს სიყვარულს მუსიკისადმი.

თეატრი. ქუთაისის ქალაქის თეატრში დღეს დგამენ „ლალატს"

— ხვალ კვირას—„გადაჭრილ მუხას"

— სამშაბათს 9 დეკემბერს „ტაიფუნს"

თბილისი.

ბანძის ერობის დადგენილება. ბანძის ერობას დაუდგენია ადგილობრივ გზების გაყვანაში მონაწილეობა მიიღონ პირადად ადგილობრივ ფოსტის მოხელეებმა, ან და გადაიხადონ გზების გასაკეთებლად თვითეულმა 1000 მან. ფოსტის მოხელენი შუამდგომლობენ შინ. საქმ. სამინისტროს წინაშე რათა უკანასკნელმა განუმარტოს, მათ რომ გზების გაყვანა-მონაწილეობა მათ მოვალეობას არ შეადგენს.

— **საფუთო გადასახადის შემოღებისათვის.** საქართველოს ერობებმა შუამდგომლობა აღძრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალებით მთავრობის წინაშე, რათა ყოველ სადგურზედ შემოღებულ იქმნას საფუთო გადასახადი

ვინაიდან შუამდგომლობს ზოგი ფორმალური მხარეები არ არის შესრულებული, ამიტომ მათი დაკმაყოფილება ბრკოლდება.

— **მასწავლებელთა ძველი ჯამაგირები.** დამფუძნებელი კრების განათლების კომისიამ მოიწონა და დაადასტურა განათლების მინისტრის პროექტი სახელმწიფო ხაზინიდან ნახევარ მილიონ მანეთის გადადების შესახებ ზოგიერთ მასწავლებელთათვის 1918 და 19 წლის მიუღებელ ჯამაგირების გასანაღდებლად.

— **მიწის სამუშაო იარაღები.** დამფ. კრების აგრარულმა კომისიამ დაადგინა მიმართონ ჩეხო-სლავიანებისა და პოლონელთა საწარმოვო კოოპერატივებს—მოაწყონ საქართველოსათვის მიწის სამუშაო იარაღები.

— **მოსწავლეთა დათხოვა საშობაოთ.** სახალხო განათლების სამინისტრომ მოწერილობა დაუგზავნა სასწავლებელთა გამგეთ, დაითხოვონ მოსწავლენი საშობაოთ 30 ქრისტეშობისთვეს (ახ. სტილ.) გაკვეთილების შემდეგ

— **დეზერტირების საყურადღებოდ** თბილისის სამხედრო აღრიცხვის უფროსმა შემდეგი შინაარსის განცხადება გამოსცა: „საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ საქართველოს მოქალაქენი, რომელნიც დაიბადნენ 1897—98 წლებში და სამხედრო ბეგარა ჯერ არ მოუხდიათ დეზერტირებათ ითვლებიან, მთავრობის მიერ დამფუძნებელ კრებაში შეტანილ კანონის ძალით დასჯილ იქნებიან საგანგებო სასჯელით. რესპუბლიკის ყოველა მოქალაქე ვალდებულია თან იქონიოს სამხედრო ბეგარის შესრულების და დამოწმებული საბუთი სამხედრო აღრიცხვის განყოფილებისაგან მიღებული დოკუმენტი.

მოხალისეთა ცნობები.

დონის როსტოვი, ნოემბ. 30. ეკატერინოდარის ახლათ არჩეულმა ქალაქის საბჭომ მისალმებითი დეპეშა გაუგზავნა დენიკინს.

სამხედრო ცნობა. 30 ნოემბ. ტაგანროგი. ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობა უცვლელია. ცარიცინის რაიონში 16 ნოემბერს წითლების იერიშები უკუ ვაგდეთ, ბრძოლის შემდეგ მტერი დავამარცხეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ. ბალაშოვის მიმართულებით ტიბანის სამხრეთ-დასავლეთით წითლებმა ჩვენი ჯარი შეავიწროვეს ამ რაიონში ჩვენი მტრის 122 მე პოლკი დავამარცხეთ, წამოიყვანეთ 240 ტყვე. ვორონეჟის მიმართ. ბირიუჩის რაიონში წითლებმა სად. ალექსეევკა და სოფ. დმიტრიევკა აიღეს. კურსკის მიმართ. კოროჩის რაიონში ბრძოლაა.

ლგოვის რაიონში ჩვენ ქალ. სუმი დავსტოვეთ ჩერნიგოვის მიმართ. კიევის რაიონში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ფასტოვსა და კაზატი. ნოს შუა ჩვენ მტრის ჯარი დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში წავიგდეთ 12 ტყვიისმფრქვეველი და 3 ჯავშნიანი. მატარებელი. ჟიტომირის მიმართ. ჩვენი ჯარი ბერდიჩევის რაიონში იბრძვის. ვოლოჩისკის მიმართ. ჩვენი ჯარი ვოლოჩისკს მიუახლოვდა და პოლონელ ჯართან კავშირი აღადგინა.

მკითხველის დაკვირვებანი „სიმუნიონიადა."

„ლუკმა გავარდეს
ჯამში ჩავარდეს!"

ამ ხალხური თქმულებით იწყებს ბ. განი თავის შენიშვნებში „(ერთობა" № 271) სიმუნიონის გარშემო გამომჟღავნებულ „პანამის" მიფუჩეჩებას.

ამ საკითხის შესახებ მე მსურს შევეკამათო ბ-ნ განს.

ბატონო განო! შეკითხვის ავტორნიც და დამცველნიც იმას ამბობდენ, რომ „ხელშეკრულება ძლიერ საზარალოა ჩვენი ხაზინისათვის და თუ გნებავთ ჩვენი ქვეყნისათვისაც".

თქვენი ოხუნჯობა ბ. განო „ლუკმა გავარდეს ჯამში ჩავარდესო" რომ ბრძანებთ, საქმის აბუჩათ აგდება და ულაზათო ვექილობა. „შეხედეთ ნაციონალ დემოკრატებს როგორი მურიანი ხალხია, 22% მათ უნდოდათ ჩაეგდოთ ხელში, ჩვენ კი ხალხის ისეთი ერთგულები გახლავართ, რომ 20%-თ სხვას გავაკეთებინეთ ის საქმეო", ბ. განო, რომ საქმე მარტო 2%-ის გარშემო ტრიალებდეს, მაშინაც თქვენს დანაშაულს საზღვარი არ აქვს; აი რატომ, თქვენ ბრძანებთ: „ლუკმა გავარდეს, მარა რატომ ეს ლუკმა მაინც და მაინც მუდამ ჩვენი ბურჟუაზიის ისედაც მსუქან ჯამში უნდა ჩავარდესო?! მთავრობამ მოისურვა რომ ეს ლუკმა ჩვენი ხალხის ჯამში ჩავარდნილიყოვო" „(ერთ." 231.)

ვინც „ერთობის" მეტს არაფერს კითხულობს ეგონება რომ დამფუძნებელ კრებაში სწორეთ „უსაქმო

ხალხს მოუყრია თავი“, განა ღირდა ამდენი მართლაც გინგაში 2% გულისათვისო?! მართლაც რომ აგრე 2%-ბით იზომებოდეს შეცდომები, მე ვიტყოდი ბ. განო როგორც ერთი რესპუბლიკის მოქალაქე (და მგონია მარტო არ დავრჩები) რომ 2%-თ ხალხის ჯიბის დაზოგვა საჭირო არ არის, ვისაც გინდათ იმას მიეცით, მხოლოთ თავი და თავია რომ საქმე რიგიანათ გაკეთდეს.

მაგრამ უბედურებაც იმაშია, ბ. განო, რომ თქვენ სიტყვას ბანზე აგდებთ და მთავარ საკითხზე კი არაფერს ლაპარაკობთ, თავი და თავი ის არის, რომ „სიბუნიონი“ საევროპო ფირმა ყოფილა, საქართველო და ვილაც „სიბუნიონი“ თანასწორ სანდოთ გამოაცხადეს, („ჩვენ გვენდო, ჩვენც ვენდევითო“. ავალიანი) რაღაც მოგების 80%, ლაპარაკი, რომელიც ეკუთვნის საქართველოს ხაზინას და რჩება „სიბუნიონის“ კასაში, რატომ? არ ვიცი.

კიდევ ბევრის ჩამოწერა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია საინმუშოთ.

მე ძლიერ ბევრი ვეძიე ბ. განო თქვენს „იწილო ბაწილოში“ და აგრეთვე თქვენ-მიერ ხოტბა შესხმულ ბ. ს. ჯაფარიძის საპასუხო სიტყვაში, პასუხი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე და ვერ ვპოვე. ყველა თქვენმა ვითომდა პასუხმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა, არა თუ მარტო ჩემზე, ბევრ, სხვაზედაც, ვინც კი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს.

რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის, ამაში ეჭვი შეუძლებელია ბ. განო და აი რატომ: ჯერ ის რათა ღირს ბ. ავალიანმა რომ კოკოკოვცევის უკანავი სიტყვები გაიმეორა „მადლობა ღმერთს ჩვენ ჯერეთ კონსტიტუცია არა გვაქვსო“, ჩვენ გვენდო და ჩვენც ვენდევითო“, და ინტერნაციონალიზმის მოშველება, მეორეს მხრით ბ. ჯაფარიძის მიერ „ლაზაიკებზე“ პოტინი, ეს ბ ბო ნუ და მართოს ღმერთმა არა თუ პროფესორებს და გამოჩენილ ვექილებს, თვით უბრალო ანბანის უცოდინარ ვაჭარსაც. ერთ ადგილზე ბ. ჯაფარიძე თავის სიტყვაში ბრძანებს „თქვენ დაგვიმტკიცეთ, ჩვენებურებმა თუ უკეთესი პირობა წარმოგვიდგინაო და შემდეგ დაძრახეთ“ ეს ხელშეკრულებაო ეს ქარის წისქვილებთან ბრძოლაა, არავის იმაზე არაფერი უთქვამს თუ რატომ ჩვენებს უარეს პირობებში არ მიეცითო.

როგორც ხედავთ ხელშეკრულების დამცველნი დგანან ფორმალურ იურიდიულ ნიადაგზე, და მორალური სიმძიმის არაფერი გააჩნია. ასეთი ჩვენი ქვეყნისთვის დიდმნიშვნელოვანი საქმის აგრე მსუბუქათ, ცალმხრივათ, და მოუფიქრებლათ უცხოელების ხელში ჩაყრა, მიუტევებელი დანაშაულია, რაზეც უკრაინელები იტყვიან „Треба разжувати“-ო.

ჩემდა თავათ ბ ნო განო მოგახსენებთ, რომ ჩვენ რესპუბლიკის მოქალაქეებზე გადაცემას 10 პროც. მეტის გადახდა რომ გამოეწჯია, ბევრათ მოიგებდა ქვეყანა შედარებით „სიბუნიონთან“ გარეშეებთან, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა საწველ ფურათ ესაჭიროებათ, მეტათ არაფრათ.

ადგილობრივები, ზედმეტ პროცენტს არა პირდაპირი გადასახადების სახით დაუბრუნებენ ისევ ჩვენს ხაზინას, „პატენტის“, „შემოსავლის“ „სანიტარიის“, და სხვა გადასახადებით და ხანდისხან „გაწესებით“ მიპატიჟებით და პატივისცემით, ადგილობრივები ცოცხლებიც და მკვდრებიც ჩვენ ხელში არიან. გარეშეებიდან ამას არ უნდა მოველოდეთ, რადგან რაც მათ ჯიბეში გადავარდება უსათუოთ დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს. ეს იმ შემთხვევაში თუ ყველაფერი პირნათლათ შეასრულეს, და თუ იკადრა რამე, იმ შემთხვევაში ყველაფერი დაკარგულია.

მაშ აგრე ბ-ნო განო ვერიდოთ რაც შეიძლება პანამებს და მის შესაძლებლობასაც, ჩემს დაცვას ნ.-დ. არ საჭიროებენ, საჭიროა რაც შეიძლება მეტი ობიექტივობა ვისგანაც არ უნდა იყოს ეს, და ვისთვისაც არ უნდა იყოს საწყენი. დიახაც, „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს!“

ძველი სოციალ დემოკრატი.

ბოლშევიკური დოკუმენტები.

გაზ. „ბორბაში“ „ვინმე“ სწერს: საზოგადოებაში, პრესაში და დამფუძნებელ კრების ტრიბუნიდანაც უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ ბოლშევიკების დიდ ფინანსიურ სახსრებზე. ეს ხმები უფრო გაძლიერდა ბოლშევიკების უკანასკნელ გამოსვლების დროს. და მხოლოდ ახლა, ფილიპე მახარაძის შეპყრობის დროს მთავრობას ხელთ ჩაუვარდა მეტათ ძვირფასი საბუთები, რომელნიც აშუქებენ ბოლშევიკების მოღვაწეობას. საზოგადოება მალე გაეცნობა ამ საინტერესო მატერიალს, ახლა კი გაკვრით დავახასიათებთ კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტს. ჩვენ შეძლება გვქონდა გავცნობოდით კასსის საკვინტაციო წიგნაკებს და ზოგიერთ ოქმებს და წერილებს, რომელნიც ფულებს ეხებიან.

ღვინობისთვის 31-ამდე 1919 წ. ნაწილი მასალებისა, და უფრო უმთავრესი, რასაკვირველია მთავრობას ხელთ ვერ ჩაუვარდა, მაგრამ გადარჩენილ საბუთებიდანაც სჩანს, რომ ზემოხსენებულ სამ თვეში ბოლშევიკებმა დახარჯეს ოთხი მილიონი მანეთი!

ამასთან საბუთები აჩვენებენ წყაროს, საიდანაც ბოლშევიკები იღებდნენ ფულით დახმარებას. ერთს წერილში, რომელიც უფრო ასტრახანიდან უნდა იყოს გამოგზავნილი, ჩვენ ვკითხულობთ:

„ამხანაგი როგოზი წავიდა გიორგობისთვის 22-ს 3 მილიონით, ხვალ გიორგობისთვის 25-ს გამოვა ამხანაგი სტეფანე ესეც 3 მილიონით ნიკოლოზის ბონებით. 3 დღის შემდეგ გამოვა მესამე ნაწი ამოდენამე თანხით.

ასე მოსდიოდათ მილიონები ქართველ ბოლშევიკებს.

სამ თვეში დახარჯულ 4 მილიონის შესახებ ცნობების გარდა ჩვენ რუს ბოლ. კავკ. კომიტეტის ამ წლის 27 გიორგობისთვის სხდომის ოქმიდან შემდეგს ვტყობილობთ: დამტკიცებულ იქმნას ჩაბაკის თანხიდან ნაწარმოები ხარჯები 1) 1,300,000 გივალდის შტაბისა და 2) მილიონი X ს.

ამგვარად ჩვეულებრივად გამოგზავნილ სახსრის გარდა ბოლშევიკებს ჰქონიათ საგანგებო სახსარი და შესამჩნევ დიდ ხარჯებს ეწყობდენ ამ თანხიდან.

რა მიზნისათვის იხარჯებოდა ბოლშევიკების ფულები?

ამაზე ჩვენ ვგმოულობთ ნამდვილ და საინტერესო პასუხს. უმთავრეს ხარჯების სტატიას შეადგენენ სამხედრო-ტეხნიკურ ხარჯების მიზნები. წითელ ჯვარს დაპატიმრებულთათვის გადაუდვია რამდენიმე ათი ათასი მანეთი და როგორ გულუხვად გაუბოძა ფული თავის პროვინციის ორგანიზაციებს—ეს სჩანს შემდეგიდან: სამი თვის განმავლობაში გაცემულია:

1) ბათუმის ორგანიზაციას 117 მან., 2) სოხუმის საოლქო ორგანიზაციას—165 ათასი მან., თბილისის გუბკომს—185 ათასი მან. ქუთაისის გუბკომს—360 ათასი მან.

ძალიან დამახასიათებელი არის ზოგიერთი წვრილი გაცემა. მიცემულია ვასოს (უეჭველია ცივცივაძეს) ობმუნდირობისთვის, კომუნისტურ წითელ არმიისთვის 100 ათასი მან.

მიეცეს დახმარება საშას (ალბათ ბეგეჭორს) ლეონიას (უეჭველია მაშინისტს) ქიქოძეს (უსათუოდ სტუდენტს) ილინს, პოლისიუკის და სხვ. რამდენიმე ათასი მანეთი. ჯამაგირების მხრივ, როგორც სჩანს საბჭოთა მუშებს არ აწყენინებენ. სამწუხაროთ ჩვენ არ მოგვეპოვება ფაქტები იმის შესახებ, თუ რამდენი ჯდება ლიდერთა შენახვა. როგორც ეტყობათ ამ ლიდერებს განსაზღვრული ჯამაგირები არ ეძლევათ, მაგრამ შესძლებენ ფულის ხარჯვა თავიანთი მიხედვით. ჩვეულებრივი ჯამაგირები მუშებისა აღწევდა სამი ათას მანეთამდე. მაგ. რაფაელი! რომელიც იყო ბოლშევიკებთან, ღებთა თვეში სამი ათას მანეთს (40 პრ. იყო მოგატებული).

დასასრულ ჩვენ მოვიყვანთ მეტად სიურპრიზულსა და პიკანტურ საბუთებს. აი იგინი:

გაზ. „სოციალ დემოკრატმა“, ამ ორგანომ, ეგრედ წოდებულ ინტერნაციონალისტებისა, მიიღო:

1) წიგნი 1, ორდ. № 40. მარიამ. 7-იდან სესხის სახით—5,000 მან. 2) წიგნი IV, ორდ. № 467 4 ენკენისთვიდან—10,000 მან., 3) წიგნი VII, ორდ. 311 ღვინობისთვის 7-იდან სუბსიდია—3,500 მან., 4) უნომრო წიგნის ორდ. № 341. 14 ღვინობისთ.—3,500 მან.

ასეთი იყო ამ გაზეთის არსებობის წყაროს და ახლა გასაგები ხდება, თუ ერშაკ ზურაბოვი თავის ამხანაგებით რა გულმოდგინეთ იცავენ ბოლშევიკებს. ისინი მხოლოდ სვინდისიერად ასრულებენ თავიანთ ნაკისრ დულ მოვალეობას!

საგანგებო ინფორმაცია

საგალდებულო დადგენილება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემული რესპუბლიკის საზღვრებში იარაღის ტარებისა და შენახვის შესახებ.

1) აკრძალულია რესპუბლიკის საზღვრებში ტარება და შენახვა ცეცხლის მფრქვევ იარაღისა და ტყვიაწამლისა, რომელიც როგორც ჩვენი აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ჯარების შესაიარაღებლად იხმარება. შენიშვნა: ჯარის შესაიარაღებლად ითვლება: ა) ვინტოვკები 1891 წ. რუსული სახისა, სამხაზიანი, ბერდანები 4—2 ხაზიანები, გერმანული მაუზერები, ავსტრიული მაინლიხერი, სტეერი, ამერიკული ვინჩესტერი, ფრანგული ლებელი, ინგლისური მექსიკანური და სხვ. ნაკრიანი ცეცხლის მფრქვევი იარაღი, რომელიც ჯარის შესაიარაღებლად იხმარება. ბ) ნაგანის რევოლვერები, მაუზრის პისტოლეტები, პარაბელიუმი, კოლტი და ბრაუნინგი დიდი კალიბრისა და აგრეთვე ყველა რევოლვერი, რომელსაც, პისტოლეტის ლოდა აქვს. 2) ის პირები, რომელთაც ღღეს ზემოხსენებული იარაღები აქვთ, თუნდაც წინეთ კანონიერად მიცემული მოწმობებით, ვალდებულნი არიან შვიდი დღის განმავლობაში ამ ბრძანების გამოქვეყნებიდან ჩააბარონ იარაღი ქ. ტფილისში გარნიზონის უფროსის სამმართველოს.

ქ. ქ. ქუთაისს და ფოთში მილიციის უფროსთა სამმართველოებს და რესპუბლიკის სხვა ადგილებში კი სათანადო კომისარიატებს.

შენიშვნა: ყველა დღემდის მიცემული მოწმობა 1, მუხლ. შენიშვნაში აღნიშნულ იარაღთა ტარებისა და შენახვის შესახებ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულად ითვლება.

3) აკრძალულია აგრეთვე დადგენილების 1 მუხ. შენიშვნაში აღნიშნულ იარაღთა ტარება და შენახვა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებადაურთველად. ნებართვა მიცემული იქნება განსაკუთრებულ, საპატიო შემთხვევაში სათანადო სამაზრო ერობათა და ტფილისსა, ქუთაისსა და ფოთში კი ადგილობრივ მილიციის უფროსთა დასკვნის მიხედვით.

4) ამა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი ადმინისტრატიულ წესით დაჯარიმებულნი იქნებიან 10,000 მან. ან 3 თვემდე ციხეში დაპატიმრებით.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის განცხადების დღიდან.

1919 წ. ნოემბრის 29, ქ. ტფილისი. ხელს აწერს: შინაგან საქმეთა მინისტრი **რამიშვილი.**

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გ. კიელოგის სახლი.